



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 189

2011 წლის 21 დეკემბერი

ქალაქი ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის “ქ” ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტში შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის 2012 წლის პროგრამა საერთო ბიუჯეტით 50292 (ორმოცდაათათასორასოთხმოცდათორმეტი) ლარით.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ან რაიონულ სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში (მის. ქ. ხაშური კოსტავას ქ. #13).

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე



შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის ძირითადი მიმართულებები:

შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენა და მათი მოზიდვა საგანმანათლებლო სახელოვნებო სივრცეში.

- ❖ მოსწავლე ახალგაზრდობის დაინტერესება ხელოვნების დარგებით.
- ❖ სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.
- ❖ მოსწავლეთა ნიჭის თვითრეალიზებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა საბავშვო მუსიკალური თეატრ-სტუდიის ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვების მიერ ხალხური ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.
- ❖ ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შემოქმედი ბავშვებისათვის.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის გართობისა და დასვენების სათანადო ბაზის შექმნა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის და ასევე მათი მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების გამართვაში ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედი ბავშვებისათვის სოციალურად მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაში ხელშეწყობა.
- ❖ გაცვლითი კულტურული პროგრამების ორგანიზების ხელშეწყობა.შემოქმედ ბავშვთა მონაწილეობით დელფიადებისა და ოლიმპიადების მოწყობის ორგანიზების ხელშეწყობა.

პროგრამის ბიუჯეტი

განისაზღვროს შემოქმედ ბავშვთა და მოზარდთ განვითარების_ხელშეწყობისპროგრამის ასიგნებები 50292 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია	ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლები	სულ სუბსიდიის ოდენობა
21	შრომის ანაზღაურება	42412
22	საქონელი და მომსახურება	7880
	სულ	50292

პროგრამის ხანგრძლივობა:

პროგრამის მოქმედების ხანგრძლივობაა 2012 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

- ❖ განვითარება და პოპულარიზაცია. მოზარდთა და ბავშვთა სულიერი და გონებრივი განვითარება.
- ❖ სკოლისგარეშე საქმიანობის დაუფლება და იმავდროულად საგანმანათლებლო სასწავლო პროცესების ხელშეწყობა.
- ❖ შემოქმედებითი განვითარებისათვის საჭირო მომსახურების მიღები ხელმისაწვდომობა.